F343
1996

იანვარ-თებერვალი 1996 წელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ქართველი უნდა სწავლობდეს
საცნობლად თავისადაო:
ვინ არის, სიდამ მოსულა,
სად არის, წავა სადაო?

# დილა

# გილოცავთ

## ძვირფასო ბავშვებო!

ახალ წელს გილოცავთ თქვენი ჟურნალი „დილა" და ალი ლამაზი დილის გათენებას გისურვებთ თქვენ და ქვენთან ერთად მთელს თქვენს ქვეყანას. ღმერთმა ყბის, წლევანდელ წელს სიყვარული აღორძინებისა, ებრუნებინოს იმედი, ღირსების გრძნობა, ნამდვილი და ლბი ღირებულებების გარჩევის უნარი, თორემ ზოგს ასე ონია, საბავშვო ჟურნალს ან საბავშვო წიგნს „ნინჯერსი" „ბატმენი" სჯობდეს. არა, ეს იცოდეთ, სუფთა საკითხავი წმინდა სალოცავი უკეთესია, სიკეთე და სიყვარული ჯობესია თქვენთვისაც და თქვენი სამშობლოსთვისაც. ექით ერთმანეთს სიყვარული...

ღმერთმა სისუფთავე, სიწმინდე, სიკეთე და სიყვარული რავლოთ მრავალ ახალ წელს.

ამ რამდენიმე წლის წინათ ჟურნალ „დილასთან" არსებობდა კიდევ ერთი პაწია ჟურნალი „აი ია" — ყველაზე პატარებისათვის. სამწუხაროდ, უსახსრობის გამო „აი ია" უკვე ხუთი წელიწადია აღარ გამოსულა. მაგრამ ჩვენ ისე გვიყვარდა ეს ჟურნალი მის ლამაზ სახელიანად, რომ დღესაც ვერ შევლევივართ. ამიტომ „დილა" ეცდება არა მარტო უმცროსკლასელი ბავშვებისათვის დაბეჭდოს საინტერესო მასალები, არამედ სკოლამდელებიც გაახაროს პატარ-პატარა ხალისიანი ლექსებით, გასართობებით, ზღაპრებით. „აი იას" ჩვენთვის ძვირფასი სახელი კი დავარქვით „დილის" დამატებას, რომელიც ჩვენი ჟურნალის ყოველ ნომერს შეძლებისდაგვარად დაერთვება, და მის ფურცლებზე დაიბეჭდება გასართობები, გასაფერადებლები, ჭკუის სალესი და თავსატეხი მასალები, საგარჯილოები, სასიმღეროები.



ჟურნალი „დილას" სურათებიანი დამატება

იანვარ-თებერვალი

1996 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა



გილოცავთ ახალ წელს!

საუკეთესო და განსაკუთრებული ჩანართი, სადაც თქვენ წაიკითხავთ მხიარულ გასართობ ამბებს, გამოცანებს; დედის ხელის წამველებით მოირგებთ ახალ ტანსაცმელს და მიირთმევთ საკუთარი ხელით დამზადებულ კერძებს. ყოველივე ამის შემდეგ სიმღერის გუნებაზეც დადგებით. ჰოდა, იმღერეთ კიდეც.





ცივ ზამთარი უსახლკაროდ სიცივეში გავატარე.

მხატვარი ედუარ[დ]...

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ მეტ ქულას დააგროვებს

ეს არის თამაში ფანქრით ხელში. თამაში შეუძლია ნებისმიერი რაოდენობის მსურველს. დააკვირდით წრეში ჩახატულ ვარსკვლავებსა და გულებს, მერე თვალები დახუჭეთ და სცადეთ, ფანქრის წვერი ზუსტად მოახვედროთ ვარსკვლავს (ოღონდ არ გამოიჭყიტოთ — თამაში პატიოსნად არის საჭირო); ეს 6 ქულას მოგცემთ. თუ გულს მოარტყით ფანქრის წვერი, 3 ქულას იღებთ. 10 ცდაზე ვინც მეტ ქულას დააგროვებს, ის იქნება მოგებული.



# გააფერადეთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა



თავდაპირველად შეაერთეთ წერტილები 1-დან 24-მდე, შემდეგ კი მიღებული სურათი გააფერადეთ და დაასათაურეთ.




კვადრატში ჩაწერილ რიცხვებზე შეასრულეთ ნებისმიერი არითმეტიკული მოქმედებები ისე, რომ მიიღოთ რიცხვი 10.

სწორკუთხედში ჩახატულია ოთხი მოზრდილი, რვა — ცოტა პატარა და რვა — კიდევ უფრო პატარა ბურთულა. გააფერადეთ სხვადასხვა ზომის ბურთულები სხვადასხვა ფერად, შემდეგ კი ორი სწორი ხაზით სწორკუთხედი ოთხ ნაწილად გაყავით, ისე რომ თითოეულ ნაწილში თითო მოზრდილი და ორ-ორი უფრო მცირე ზომის ბურთულა მოხვდეს.



# ◇ სადღესასწაულოდ ◇

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახედეთ ამ თარგებს და წარმოიდგინეთ, რომ ასეთი კაბები ან ასეთი კოსტუმები გაცვიათ. ამ ტანსაცმლით შეგეძლებათ თეატრში და კონცერტზეც წასვიდეთ და დღეობებზეც. დედამ ან ბებიამ თუ კერვა იციან, შეკერვით ისინი შეგიკერავენ ტანსაცმელს, ფერები კი თქვენ თვითონ შეარჩიეთ და გააფერადეთ თარგები.

## თარგები



ამ ერთფერ კაბას ამშვენებს ჩამოგრძელებული წელი, ორსართულიანი ქვედატანი, და სახელო-ბუფი. რა ფერის ქსოვილითაც არ უნდა შეიკეროს ასეთი კაბა, ძალიან გააცოცხლებს და მოუხდება მას თეთრი საყელო და ფერადი ბანტი.

კაბა. დასჭირდება 150 სმ. სიგანის 2 მ. ქსოვილი.

მანჟეტი. 23X6 სმ., სიგანე 4 სმ (შესაკრავის გაანგარიშებით). ქვედატანის ზედა სართულის უკანა მხარე 84X19.5 სმ. ქვედა სართული – 84X34.5 სმ. წელის გადანაკერთან თავი მოუყარის 44 სმ სიგანეზე. წინა კალთების ზედა სართული – 97X19.5 სმ. ქვედა სართული – 97X34.5 სმ, განაკერთან თვმოყრილი 51 სმ სიგანეზე.

მუქი შარვალი, და უჯრედებიანი ჟაკეტის ქვეშ თეთრი ან საჭირო ელფერის, ოღონდ ღია ფერის ბლუზა. ჟაკეტს ჟილეტივით კუთხურად გამოჭრილი ორი ბორტი აქვს, შარვლის ქსოვილით შემოქობილი საყელო, ზედა ბორტი და სახელოები.



ჟაკეტი. დასჭირდება 100 სმ სიგანის 90 სმ ნაჭერი. 89 ზურგი. 90 წინა კალთა. 91 სახელოს იდაყვის მხარე. ქობაზე დაგჭირდებათ 200X4.5 სმ.



სხვადასხვა ასაკის ბიჭუნებს დაამშვენებათ საყელოიანი ჟილეტი ზედა ჯიბეში ფერადი ცხვირსახოცით.

ჟილეტი. დასჭირდება 110 სმ სიგანის 65 სმ ნაჭერი. 95 – ზურგი. 96 – წინა კალთა. 97 – საყელო. გასაჭრელი ჯიბის ფორმა და ადგილი მინიშნებულია მარცხენა წინა კალთაზე.



შარვალი. დასჭირდება 100 სმ სიგანის 85 სმ ქსოვილი. 93 – ტოტის უკანა ნახევარი. 95 – წინა.

ზედა გადანაჭერთან გააკეთეთ 3 სმ სიგანის ჩანაკერი. გადაკეცეთ, გაკერეთ და გადანაკეცში გაუყარეთ 48 სმ სიგრძის რეზინი წინა ჩანაკერებამდე.

# «აი იას» სამზარეულო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გთავაზობთ იოლად დასამზადებელ და იაფ კერძებს.

## ბუტერბროდი



დაჭერით 1 სმ სისქის ნაჭრებად ყვავილა კომბოსტო (თუ საშუალება გაქვთ – ხორცი, გინდ საქონლის, გინდ ფრინველის), ხარშეთ მდუღარე მარილწყალში 12 წუთი (ხორცი, რა თქმა უნდა, მეტხანს), გააცივეთ, შეამშრალეთ ტილოთი ან ქაღალდის ხელსახოცით, მოაყარეთ მარილი და შავი პილპილი, წასცხეთ ტომატი ან , თუ გაქვთ, უცხოური კეტჩუპი. გალესეთ კვერცხში ფქვილი ან ორცხობილა; ამ საფანელში ამოგანგლეთ კომბოსტო (ხორცი) და ზეთში შეწვით. დააწყვეთ ზედ თხლად დაჭრილი ბულგარული წიწაკა ან თხლად დათლილი კიტრი თუ ბოლოკი, მწვანე სალათა ან სხვა ბოსტნეული, და გააკეთეთ ბუტერბროდები.







## მაკარონის სალათი.

250 გ. ნიჟარა-მაკარონი მოიხარშოს მარილწყალში, გადაიწუროს, ბოლოკი დაიჭრას ალყა-ალყად, დაემატოს 150-150 გრამი წვრილად დაჭრილი ყველი და შაშხი, 1 ქილა მოხარშული სიმინდის მარცვლები; აერიოს ცოტა არაჟანი ან მაიონეზი, 3-3 სუფრის კოვზი ძმარი და ტომატი; თითო მწიკვი მარილი და შავი პილპილი. გამზადებულს გარშემო შემოეწყოს ქორფა მწვანილი (6 ულუფა).



**კრუშონი.** (12 ჭიქა). დააყენეთ 2 ლ. ასკილის ჩაი, აურიეთ 3 ლიმონის წვენი, დაფცქვნილი და დაჭრილი თითო ფორთოხალი, ვაშლი, ბანანი, და ფორთოხლის კანიდან გამოჭრილი წვრილი სპირალები; დაატკბეთ 4 სავსე სუფრის კოვზი რაიმე ხილის სიროფით ანდა თაფლით.





დაეხმარეთ თაგუნას და მაიმუნს ფორთოხლის, კაკლისა და მიწა-თხილის დათვლაში. „მეგობრების" ჩხუბი თავიდან რომ აირიდოთ, ხილის რაოდენობა შესაბამის უჯრაში ჩაუწერეთ.

## ორი რებუსი




თუ სწორად ამოხსნით ამ პატარა რებუსებს, წაიკითხავთ ორი ქართული ხალხური ზღაპრის გმირთა სახელებს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# კროსანაგრამა «აი ია»

კროსანაგრამა არის სიტყვების გამოცნობაზე აგებული გასართობი ამოცანის — კროსვორდის ნაირსახეობა. კროსვორდი ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს სიტყვების ურთიერთგადაკვეთას, გადაჯვარედინებას. ესე იგი, რაიმე ნახაზში სიტყვები ისეთნაირად უნდა ჩაჯდეს, რომ ურთიერთგადამკვეთ წერტილებში მათ საერთო ასოები ექნეთ. ანაგრამა კი არის სიტყვაში ასოების ისე გადასმა, რომ სხვა სიტყვა მივიღოთ. მაგალითად, მამაკაცის სახელის — რატის ანაგრამაა ტარი, სიტყვა ლიბო (რაც საძირკველს ნიშნავს) შეიძლება შეიცვალოს როგორც ბოლი, ტახი — როგორც ხატი, აი — როგორც ია.

კროსანაგრამაში გაწვდით ორ ბადეს. პირველ ბადეში უნდა ჩასვათ ამოსაცნობი სიტყვები:

1. ხელსაწყო, რომელიც ზომავს დროს დღე-ღამის განმავლობაში.
2. დიდი ტანის, ლამაზი, დატოტვილრქებიანი ცხოველი.
3. ძველად, საქართველოში — იარაღი, რომელშიც ხარებს ან ცხენებს შეაბამდნენ და კალოზე ატარებდნენ პურეულის გასალეწად.
4. გარეული თხა.
5. ძაფი, რომელსაც გამოყოფს და აბამს ობობა.

თუ მეორე ბადეს სწორად შეავსებთ პირველ ნახაზში ჩასმული სიტყვების ანაგრამებით, ზემოდან ქვემოთ დიაგონალზე წაიკითხავთ სიტყვას ამერი. ხომ გაგიგონიათ ამერ-იმერი (ანდა იმერ-ამერი) — ეს ნიშნავს სრულიად საქართველოს — დასავლეთსა და აღმოსავლეთს ერთად, ლიხის ქედის იმიერ, ანუ იქით, და ამიერ, ანუ აქეთ (ლიხს იმერეთი და ლიხს ამერეთი).

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | | |
| 2 | | | | | |
| 3 | | | | | |
| 4 | | | | | |
| 5 | | | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | | |
| 2 | | | | | |
| 3 | | | | | |
| 4 | | | | | |
| 5 | | | | | |



მუსიკა მერი დავითაშვილისა

ტექსტი გ.ჭიჭინაძის

## საქართველოს მზეო






მხატვარი ლალი ლომთაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული საბავშვო პოეზიის მცირე ანთოლოგია

## ხალხური პოეზია

### ნანი-ნანი

ნანი ნანი, ქმაწვილო,
თეთრი პურის ნაწილო,
მამის ოქროს გუთანო,
დედის ჩიქილ-მანდილო,
ბიძის ქამარ-ხანჯალო,
მალოს წითელო ვაშლო,
სუფრის საგორებელო,
ქვეყნის გამგონებელო.

### ვაჟკაცსა უნდა უყვარდეს

ვაჟკაცსა უნდა უყვარდეს
სამშობლო, თავის ერია,
არ შედრკეს, თუნდაც ბუზივით
ეხვიოს თავზე მტერია!
არ გადიწყვიტოს იმედი,
არ შეიცვალოს ფერია,
თორემ დაგმობს და დასწყევლის
მოძმე და მთელი ერია!

მხატვარი ელუარდ ამბოკაძე

F 6293



### კიდევაც დაიზრდებიან

კიდევაც დაიზრდებიან
ალგეთს ლეკვები მგლისანი,
ისე არ ამოწყდებიან,
ჯავრი შესჭამონ მტრისანი.
თქვენი ჯერია, ბიჭებო,
ხელი დაიდოთ ხმალზედა,
თორემ ყორნები მღებიან
წინაპართ ნაომარზედა.
ვაჟკაცნი, მთაში ნაზარდნი,
ომშიაც კი ნახვენ ლხინსა,
მტერსა მტრულად დასვდებიან,
მოკეთეს მოსჭამენ ჭირსა.



[library stamp]

მერი ბოლქვაძე

# თბილი თამაში

დრუბლები თოვლის დიდრონ, ლამაზ ფანტელებს ისროდნენ ციდან; კატა ნანუნა ფანჯრის რაფაზე იჯდა და თვალს აყოლებდა, მერე, თითქოს რაღაც მოიფიქრა, ფანჯრიდან ჩამოხტა და კართან მივიდა:

– გამიღეთ! –დაიკრუტუნა. კარი სოფიკომ გაუღო; გავიდა თუ არა, ცას ახედა, დრუბლებს თათი დაუქნია:

– რა ამბავში ხართ, ამდენი თოვლი ვის რად უნდა, თავზე ხომ არ უნდა დაგვამხოთ სახლის სახურავები?

– თოვლის დედოფალი მარტოა, მოწყენილია და ჩვენი ფანტელებით თამაშობს, – ჩამოსძახეს დრუბლებმა ცივად.

კატამ თვალები მოწკურა, ფიქრიანად წაიკრუტუნა:

– მოწყენილია? იქნებ სცივა კიდევაც, თვითონვე თოვლისა რომაა?

– რაა, ძალიან გეცოდება? – დაუბღვირა სახლის კართან მიწოლილმა დიდმა ძაღლმა ავჩომ. კატამ კუდი აიბზიკა:

– რატომაც არა, წავალ, მოვინახულებ!

– სად წახვალ ამ ყინვაში? – გაოცდა ავჩო.

– არ წახვიდე, გეხვეწები, იმ ყინულეთში რას აიღწევ, გზაშივე გაიყინები, – სთხოვა სიცივისაგან მობუზულმა ბეღურამ; ისიც იქვე აივნის დირეზე იჯდა.

– მე წავიყვან! – ციდან ჩამოგორდა ერთი პაწია ფუმფულა დრუბელი და სანამ ვინმე რამეს მოიფიქრებდა, ნანუნას შემოეხვია, ცას



მხატვარი მიშიკო ამბოკაძე

აიტაცა და ბროლის კოშკისაკენ [illegible]

თოვლის დედოფალი მარტო [illegible] უშველებელ ბროლის კოშკში, რომელიც ყველაზე მაღალი მთის წვერზე იყო შემომდგარი; ღია ფანჯარასთან იდგა, თეთრი, თეთრზე თეთრი, ალმასებითა და მარგალიტებით მორთული კაბა ეცვა, ოქროსფერთმიან თავზეც ალმასებისა და მარგალიტების გვირგვინი ედგა, ხელში ბროლის გრძელი წკირი ეჭირა და გამალებით იქნევდა ზევით-ქვევით, ქვევით-ზევით და, ციდან იმდენი თოვლის ფანტელები ცვიოდა, იმდენი, იმდენი...

უეცრად დედოფალს კატა გამოეცხადა; ფანჯრის რაფაზე იჯდა, თოვლის ნაბუარში მოჩვენებასავით ჩანდა...

– კიდევ დიდხანს უნდა იქნიო ეგ შენი წკირი? – უთხრა კატამ, – კიდევ დიდხანს უნდა პენტო მატყლივით თოვლი? მაგის ნაბუარიც ისე გადაგდის თავზე, წესიერად ვერ გხედავ... სხვა გასართობი ვეღარაფერი ნახე? ეს დრუბლები სულ გადარიე; ჩამოყარეთ, ჩამოყარეთ, ფანტელებიო, ცოტა მაინც ხომ უნდა შეისვენონ?..

თოვლის დედოფალს სულაც არ გაჰკვირვებია, ასე თამამად რომ ელაპარაკებოდა კატა, იცოდა, ყველა კატა რომ დედოფალია და როგორც ყველა დედოფალი, კარგად აღზრდილი, მაგრამ თან ამაყი, გოროზი, ნებიერი... ამიტომ არ გაბრაზებულა, წკირი შეაჩერა მხოლოდ და მშვიდად ჰკითხა:

– ვითომ რატომ უნდა შეისვენონ?

– როგორ რატომ? გაზაფხულის და ზაფხულის წვიმებისათვის...

– ზღვები და მდინარეები რას მიკეთებენ, რამდენიც უნდათ, იმდენს ანუქებენ საწვიმარ წყალს...

კატამ ცხვირი აიბზუა, თუმცა თან დაეთანხმა:

– ჰო, ეგ მართალია, მაგრამ, არ იცი, რამდენიც არ უნდა ითამაშო თოვლით, მაინც რომ მარტო იქნები?

– აბა, რა გავაკეთო?

– მე შენს ადგილას ცოტას გავისეირნებდი, ვინმეს ვესტუმრებოდი, ან ვინმეს ჩემთან მოვიპატიჟებდი...

დედოფალი ჩაფიქრდა:

– მოდი, შენ დარჩი ჩემთან, – სთხოვა მერე კატას. კატამ ცერად შეხედა; დედოფალმა გაიცინა, ისე, თითქოს ბროლმა გაიწკრიალაო:

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ნუ გეშინია, არ გაგყინავ!

– „ეგ კიდევ საკითხავიაო" – თავისთვის გაიფიქრა კატამ, დედოფალს კი უთხრა:

– ვერ გამყინავ, ხედავ, როგორი ბეწვის ქურქი მაცვია?! ის კი არა და, იქნებ შენ თვითონვე გცივა, შენ ხომ თოვლისა ხარ, მე გაგათბობ, გინდა?

კიდევ უფრო მეტად გაიწკრიალა ბროლმა – დედოფლის სიცილმა, და მთელ ბროლის კოშკს მოედო, თითქოს ბროლის კოშკიც თავისი ყინულის ლოდებითა და ლოლუებით იცინოდა. თოვლის დედოფალი სიცილს რომ მორჩა, კატა ნანუნას ჰკითხა:

– მაინც რითი გამათბობ?

კატამ წყნარად მოწკურა თვალები:

– რა გაცინებს? რითი გაგათბობ და, ჩემი თათებით, აგერ, – ჯერ ერთი თათი ასწია და მერე მეორე, – ძალიან რბილი, ტკბილი და თბილი თათები მაქვს.

– არა, არა, რომ დავდნე, მერე რაღა მეშველება? – ვითომ შეეშინდა თოვლის დედოფალს და უკან დაიწია.

– მაშინ წავალ, უკვე ღამდება, – ჩაიცინა კატამაც.

– როგორ წახვალ?

– როგორც მოვედი.

– როგორ მოხვედი?

ფანჯარაში უეცრად პაწია, ფუმფულა ღრუბელი გამოჩნდა, კატას ისევ გარშემო შემოეხვია და წყნარად გაცურდა ჰაერში; და დედოფალი ახლა მიხვდა, როგორ ამოაღწია ამსიმაღლე, თოვლიან და ყინულებიან მთაზე კატამ, ღრუბელს კი მიაძახა:

– არ გაგივარდეს...

– არც ამოყვანისას გამვარდნია, – დაიბუხუნა ღრუბელმა და თვალს მიეფარა კიდეც.

ღრუბელი ნელ-ნელა მიაცურებდა კატას. ნელ-ნელა ღამდებოდა. უეცრად რაღაცამ გაანათა არემარე და ორივემ – ღრუბელმაც და კატა ნანუნამაც დაინახეს ტყიდან ბროლის კოშკისაკენ გაქცეული, თოვლის დედოფალივით ალმასებითა და მარგალიტებით მორთულ კაბებში გამოწყობილი უამრავი თოვლის ფიფქი. ფიფქები ისე მსუბუქად მირბოდნენ, თითქოს მიწას ფეხს არ აკარებდნენ და თან ისინიც დედოფალივით იცინოდნენ. ღრუბელმა და კატა ნანუნამ უკან მიიხედეს: ბროლის კოშკი ბრწყინავდა, კაშკაშებდა, ციალებდა, სტუმრებს ელოდა... თოვლის დედოფალი აღარც მარტო იქნება, აღარც მოწყენილიო, გაიფიქრა ორივემ და გზა განაგრძეს...



ღრუბელმა ზედ ცხვირწინ დაუსვა კატა სახლის კართან მიწოლილ ძაღლს, თვითონ კი ისევ ცაში ავარდა თავის ღრუბლებთან. ძაღლმა ავხომ თვალებს არ დაუჯერა, კატა რომ დაინახა:

– მართლა შენ ხარ, თუ მელანდები?

– მე ვარ, მე, – წაიფხუკუნა კატამ, – ახლა კი სანამ სიცივით გავიფიჩხები, დაიყეფე, რომ სახლში შევიდე, თორემ აქ ისეთი ამბავია, ჩემს ხმას ვერ გაიგონებენ...

ძაღლმა ისე ხმამაღლა დაიყეფა, რომ ვინც იმ სახლში იყვნენ – დიდ-პატარიანად, ყველანი ერთად, კარს მოსცვივდნენ. ნანუნა რომ დაინახეს, დასტაცეს ხელი და სახლში შეიყვანეს, ანთებული ცეცხლით გაღუღუნებულ ღუმელთან დასვეს და თბილი რძე მიართვეს; დიდები მოშორებით დასხდნენ, პატარები: სოფიკო, ირაკლი, ნინო, ეკა, სოსო, დათო... გარშემო შემოეხვივნენ და უმღერეს:

თოვლი, თოვლი...
ასე მარდად
საით მირბის
მია-კატა?
სად და, თოვლის
დედოფალთან,
ბროლის კოშკში
მარტოდ რომ ზის
ფანჯარასთან,
მოწყენილი –
ბროლის წკრიალით
თოვლს პენტავს და
ცაში ფანტავს...

თან რა მიაქვს
ლამაზ კატას
ლამაზ თოვლის
დედოფალთან?
რბილ თათებით
სიტკბო, სითბო...
მერე, მერე
დედოფალი
რასა ფიქრობს?
ანდა კატა?
რასა ფიქრობს
კატა თვითონ?

# საახალწლო

ლევან ბაბუხადია

## თოვლის ბებოს მონოლოგი

თოვლის ბაბა რომ გიყვართ,
გავიწყდებათ ბებო,
მე კი თავს მოგწყენიხართ,
ჩემო საყვარლებო!

მე მოგირთავ ნაძვის ხე
ჯადოსნური ფუნჯით,
მთელი ღამე ვქარგავდი
თოვლის ბაბის ხურჯინს.

მოგიმზადე ჩურჩხელა,
გოზინაყი, ხილი...
დავიღალე ძალიან,
მაგრამ არა ვჩივი.

ყველაფერი გაამოთ,
ჩემო საყვარლებო,
მოგილოცავთ ახალ წელს
თქვენი თოვლის ბებო!







გურამ კობერიძე

## საახალწლო ზეიმი

მოიწვიეს კურდღლებმა
ციყვები და მაჩვები,
საახალწლო ზეიმის
ყველას ერგო საჩუქრები,
მელას გამოუცხადეს:
— არ ხარ შემოსაშვები;
დასცხეს ბუქნა სცენაზე,
— აბა, ტაში, ტაშით,
მელას — კისრის მოტეხვა.
წოლა პალატაშით:

მელამ — ასეთ სცენასო
გამოვუწყობ ენასო,
ცეკვას დგამენ ლაქებო,
ტაშს უკრავენ ყლაპებო,
არ არიან ღირსები,
მაგათ კაცი ეყვესო.

მხატვარი ლალი ლომიძე



გივი გეგეჭკორი

## ანა და ნაძვის ხე

ახალ წელს ხვდება პირველად
სულ პაწაწინა ანა,
ღიმით შესცქერის ნაძვის ხეს,
დღეს რომ ბრწყინავს და
ქანაობს:
ამდენი მზე და ვარსკვლავი
ნეტავ ვინ მოიტანა?!



ლადო მრელაშვილი

## ნიკამ თქვა

ნიკამ თქვა: თოვლი მოსულა,
მეც დავდგამ თოვლის ბაბასა,
თავზე ძველ ვედროს დავხურავ,
ტანზე მოვასხამ ნაბადსა,
ნახშირის თვალებს ჩავუსვამ,
წვრილი ჩხირებით — წამწამსა,
ცხვირად სტაფილოს დავურჭობ,
რომ მოვათავო თვალ-წარბსა.
ყურამდე გახსნილი პირი
ხელს უწყობს ჭამა-ყლაპვასა.

კბილებში ჩიბუხს გავუჩრი,
რამდენ თამბაქოს დასწვავსა!
წელს შემოვარტყამ სავაზნეს,
ბლომად ჩავუდებ ვაზნასა,
ხელში თოფს დავაჭერინებ -
ყარაულის სახლ-კარსა.
გოგოების სულაც არ ვურჩევ
მის ახლო-მახლოთ წანწალსა,
თორემ ვინ გადაურჩება
იმის თვალების პრანწვასა!



შერმადინ ქალდანი

მხატვარი ედუარდ ამბოკაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წმინდა ნინო — ქართველთა განმანათლებელი



საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ყოველი წლის 27 იანვარს მოიხსენიებს მოციქულთა სწორს, ქართველთა განმანათლებელს წმინდა ნინოს.

"ქართლის ცხოვრება" მოგვითხრობს, რომ წმინდა ნინო წარმოშობით კაპადოკიიდან იყო. კაპადოკია, ისტორიული ცნობებით, ქართველთა ტომების უძველეს საცხოვრისს წარმოადგენდა.

წმინდა ნინოს მშობლები ღრმად მორწმუნე ქრისტიანები იყვნენ. მამამისი, ზაბილონი ფრანგთა განმანათლებლად ითვლებოდა, ხოლო დედა — სოსანა იერუსალიმის პატრიარქის და იყო. ისინი იერუსალიმში დაქორწინდნენ და საცხოვრებლად კაპადოკიაში დაბრუნდნენ, სადაც შეეძინათ ერთადერთი ქალიშვილი — ნინო.

როდესაც ნინო თორმეტი წლისა გახდა, მისმა მშობლებმა მთელი ქონება გაყიდეს და კვლავ იერუსალიმს გაემგზავრნენ. იერუსალიმის პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ზაბილონი მდინარე იორდანეს გაღმა განდეგილად დაესახლა, ხოლო სოსანა გლახათა და უძლურთა მომვლელად დადგა. ნინო აღსაზრდელად მიაბარეს მნეს — სარა ნიამფორს, რომელმაც ზედმიწევნით შეასწავლა მას საღვთო სჯული. სარა ნიამფორმა იგრძნო, რომ ნინოს ღვთის განსაკუთრებული მადლი ჰქონდა, ამიტომ გაუმხილა მას ქრისტეს კვართის საიდუმლო ადგილსამყოფელი — ქალაქი მცხეთა. ღვთის ნებით იმ ხანებში წმინდა ნინო რომში გაემგზავრა, რათა ელენე დედოფლისათვის ქრისტიანობა ექადაგა. გზად იგი შეხვდა მეფეთა გვარის ჩამომავალ რიფსიმეს, მის გამზრდელ გაიანესა და მათ მხლებლებს, რომელთაც ქრისტიანულად მონათვლა ჰქონდათ გადაწყვეტილი. წმინდა ნინო ორ წელიწადს შეყოვნდა მათთან. ამასობაში იმპერატორმა დიოკლეტიანემ რიფსიმეს ცოლად შერთვა გადაწყვიტა. კეისრის განზრახვა რომ შეიტყვეს, რიფსიმე და მისი მხლებლები ფარულად სომხეთისაკენ გაემგზავრნენ. სომხეთის მეფემ თრდატმა მიაგნო საწნახელში დამალულებს და ქრისტეს რჯულის აღიარებისათვის საშინელი წამებით ამოხადა სული. გადარჩა მხოლოდ ნინო, რომელმაც ვარდის ბუჩქებს შეაფარა თავი. შეშინებული ნინო ღმერთს შესთხოვდა შველას. უცებ ზეციდან მოესმა ხმა, რომელმაც უბრძანა ჩრდილოეთისაკენ წასულიყო. ოთხი თვის შემდეგ, ივნისში, ნინომ მიაღწია ჯავახეთის მთებს, ფარავნის ტბის მიდამოებს. იქ მეთევზეებსა და მწყემსებს გამოელაპარაკა და ჰკითხა მცხეთის გზა. სანამ ამ ძნელადსავალ გზას შეუდგებოდა, დაღლილმა სასთუმლად დიდი ლოდი დაიდო და მიიძინა. გადმოცემით, სწორედ მაშინ გამოეცხადა მას ღვთისმშობელი ანგელოზებით და გადასცა ვაზის ჯვარი. გაიღვიძა ნინომ და ცხადშიც დაინახა ვაზის ჯვარი. თავისი თმით შეკრა იგი და გზას გაუდგა. როგორც იქნა, ქალაქ ურბნისს მიაღწია, იქ ერთი თვე გაჩერდა და იქაურ ებრაელებს გამოჰკითხა ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულებების შესახებ.

ერთ დღეს მთელი ქალაქი მცხეთისკენ დაიძრა არმაზის დღესასწაულზე დასასწრებად. ნინოც მათ გაჰყვა. მთელი ერი სასახლის წინ შეკრებილიყო და მეფე-დედოფლის გამოჩენას ელოდა. ბოლოს მეფე მირიანი და დედოფალი ნანაც გამობრძანდნენ და ამალითურთ არმაზის კერპისაკენ გაემართნენ. წმინდა ნინომ მათ წინ გაუსწრო, კერპთან მივიდა და დაინახა რომ ის, რასაც ერი ღმერთად აღიარებდა, სპილენძისაგან გაკეთებული კაცის ფიგურა იყო, ოქროს ჯაჭვი და ჩაფხუტი ემოსა, უხვად იყო შემკული ძვირფასი თვლებით, და ხელთ ელვარე ხმალი ეპყრა. მარცხნივ და მარჯვნივ კი გაცის და გაიმის კერპები ედგა.

წმინდა ნინო მიხვდა, რომ ერი, რომელიც ღირსი

გახდა უფლის კვართის ფლობისა, ჭეშმარიტ სარწმუნოებას ასცდენოდა, და შეწუხებული შევედრა ღმერთს, გამოეჩინა მოწყალება გზააბნეული ერის მიმართ, შეემუსრა კერპები. დაამთავრა თუ არა ლოცვა, საშინელი გრიგალი ამოვარდა, ღრუბელი ჩამოწვა და ქუხილი ატყდა. ხალხი მიმოიფანტა, სეტყვამ დაამსხვრია კერპები, ხოლო წმინდა ნინო კვლავ იმ ადგილას იდგა უვნებელი. ეს ამბავი კერპთა ფერისცვალების დღეს მოხდა და ქართველთა სულიერი ფერისცვალების დასაწყისიც ეს დღე იყო.

წმინდა ნინო ექვსი დღის განმავლობაში ლოცულობდა არმაზის მთაზე და მადლობას სწირავდა ღმერთს. შემდეგ კი მტკვრის მეორე ნაპირზე გადავიდა და სამეფო ბაღს მიადგა, სადაც დღეს სვეტიცხოვლის ტაძარი დგას. ბაღის მცველის ცოლმა შინ შეიყვანა და კეთილად უმასპინძლა მას. ცხრა თვეს დარჩა წმინდა ნინო ამ ღვთისნიერ ცოლ-ქმართან. მისი ლოცვა-კურთხევით ღმერთმა სასწაული მოახდინა და უშვილო ცოლ-ქმარს მრავალი შვილი შესძინა.

ცხრა თვის შემდეგ წმინდა ნინომ ქალაქგარეთ იპოვა ერთი მაყვლოვანი (ამ ადგილზე დღეს სამთავროს ტაძარია), იქ დასახლდა, აღმართა ვაზის ჯვარი და დღე და ღამე დაუცხრომლად ლოცულობდა. იგი ხშირად ჩადიოდა ებრაელთა უბანში, რომ ვინმესთვის კვართის ადგილსამყოფელი გამოეკითხა, თან ქრისტიანობასაც ქადაგებდა.

ბევრ სასწაულს აღასრულებდა უფალი წმინდა ნინოს ხელით. მრავალი მოურჩენელი სენით შეპყრობილი ავადმყოფი განკურნა ნინომ ლოცვით. ასე გაატარა მან სამი წელიწადი მცხეთაში. ამ დროს მძიმე სენი შეეყარა ქართლის დედოფალ ნანას. ცნობილი მკურნალები ამაოდ ცდილობდნენ მის გამოჯანმრთელებას. სასახლეში ამბავი მიიტანეს, რომ მაყვლოვანში მცხოვრები ნინო ლოცვით კურნავდა სნეულთ. დედოფალი საკაცით მიიყვანეს მაყვლოვანში. წმინდა ნინომ სნეული თავის სარეცელზე დააწვინა, ვაზის ჯვარი გადასახა, ლოცვა აღავლინა, და განკურნებული დედოფალი ფეხზე წამოდგა. ამის შემდეგ ირწმუნა დედოფალმა ქრისტეს რჯული. მეფე მირიანიც დაინტერესდა და თითქმის გადაწყვიტა ქრისტიანულად მონათვლა, მაგრამ ეშმაკი უჩინოდ ებრძოდა მას და იგი მერყეობდა დედოფლის მოქცევიდან ერთი წლის განმავლობაში.

წმინდა ნინოს სასწაულების მხილველნი, მისი ქადაგების გამგონენი საგონებელში ჩავარდნენ: იცოდნენ კერპთა უსუსურობა, მაგრამ არც ძველი რჯულის მიტოვება იყო ადვილი, თუმცა ბევრმა ირწმუნა ქრისტე, ბევრი კვლავ კერპების ძალას აღიარებდა. ზაფხულის ერთ დღეს მეფე მირიანი კარისკაცებთან ერთად სანადიროდ გაემართა თხოთის მთისკენ. მან გადაწყვიტა გზად აღედგინა კერპებისა და ცეცხლის თაყვანისცემა, ხოლო ქრისტიანები მახვილით ამოეწყვიტა. მაგრამ ამ დროს მოხდა სასწაული, თაკარა შუადღისას უცებ უკუნი ღამე ჩამოწვა თხოთის მთაზე. შეშინებული მონადირენი მიმოიფანტნენ, მეფე მირიანი მარტო დარჩა და გადარჩენის იმედი გადაეწურა. შეძრწუნებული მეფე უხმობდა კერპებს საშველად, მაგრამ ირგვლივ კვლავ სიბნელე იდგა. დაფიქრდა მირიანი და გადაწყვიტა იმ ღმერთისათვის მოეხმო, რომელსაც ნინო ქადაგებდა. შევედრა მირიანი ქრისტეს: „გამინათე ბნელი, ამიხილე თვალი და ვიწამებ შენს სახელს, აღვმართავ ჯვარს და თაყვანს ვცემ". როგორც კი ეს სიტყვები წარმოთქვა, მაშინვე გამობრწყინდა მზე. მეფემ მადლობა შესწირა ქრისტეს, დაიმახსოვრა ის ადგილი და სასახლისაკენ გამოემართა. მთელმა მცხეთამ გაიგო მეფის მოქცევის ამბავი. გახარებული გამოეგება ნანა დედოფალიც. მირიანი შემდეგ წმინდა ნინოს მაყვლოვანისაკენ გაემართა. წმინდა ნინომ ასწავლა მეფეს, როგორ ეცა თაყვანი ქრისტე ღმერთისათვის და როგორ ელოცა. მეფე მირიანის მონათვლის შემდეგ ღვთის ნებით ნათელი იღო მთელმა ერმა. ეს მოხდა 307 წელს.

წმინდა ნინოს რჩევით მეფემ ააგო სვეტიცხოვლის ეკლესია, რომელსაც ჩვენს დრომდე არ მოუღწევია (დღევანდელი სვეტიცხოვლის ტაძარი XII საუკუნეშია აშენებული იმ ძველი სამლოცველოს ადგილას).

რამდენიმე ხნის შემდეგ წმინდა ნინომ მოიარა მთიულეთი, შემდეგ კი კახეთისაკენ გაემართა. გზად იგი ავად გახდა და ბოდბეში შეჩერდა. ავადმყოფმა წმინდა ნინომ სალომე უჯარმელსა და პეროჟავრა სიმნელს გაუმხილა თავისი ვინაობა, შემდეგ მის თაყვანისცემად მოსულ მეფე-დედოფალსა და ერს გამოეთხოვა, ეზიარა და ზეციურ წმინდანებს შეუერთდა. ანდერძის თანახმად იგი დაკრძალეს ბოდბეში და მის სახელზე ეკლესია ააგეს.



# წელიწადის დროთა ცვლა

ეროვნული ბიბლიოთეკა




მზის გარშემო მოძრაობისას დედამიწა ბრუნვის ღერძით მუდამ ერთ მხარეს არის დახრილი. სწორედ ეს იწვევს წელიწადის დროთა ცვლას.

მზისკენ დახრილ ნახევარსფეროში ზაფხულია, მოპირისპირე მხარეს კი — ზამთარი.

შემოდგომა და გაზაფხული შუალედური პერიოდებია — ამ დროს დედამიწის ორივე ნახევარსფერო ერთნაირად არის დაშორებული მზისაგან.

## სილის კაცი და თოვლის კაცი



დედამიწის სხვადასხვა ნახევარსფეროში წელიწადის დროები მუდამ ერთიმეორის საპირისპიროა. თუ ერთ ნახევარსფეროში ზაფხულია, მეორეში ზამთარია.

## მოკლე და გრძელი დღეები



ზაფხულის დღეები ზამთრის დღეებზე გრძელია, იმიტომ, რომ მზისკენ დახრილ ნახევარსფეროს უფრო მეტხანს ანათებს მზის სხივები.

## შუაღამის მზის ქვეყანა



დედამიწის ღერძის დახრილობის გამო პოლუსებს მუდამ მზის ირიბი სხივები ეცემა. ამიტომ პოლუსებზე მუდამ ძალიან ცივა.



ზამთარში პოლუსებზე თითქმის მთელი დღე-ღამე ბნელა, სამაგიეროდ ზაფხულობით მზე მთელი დღე და მთელი ღამე ანათებს.



დაახლოებით 300 წლის წინათ, ინგლისში, ზოგი ბოროტმოქმედი ამჯობინებდა ჩამოეხრჩოთ, ვიდრე ისეთ ადგილას გადაეგზავნათ, სადაც მთელი ზამთარი ბნელა.

## აქ მხოლოდ კოკისპირული წვიმები მოდის



ეკვატორი არასოდეს არ გადაიხრება მზისაგან. მზის სხივები მას მუდამ პირდაპირ სცემს, და ამიტომ აქ მუდამ ცხელა.



ეკვატორის მახლობლად არც ზამთარი იცის, არც ზაფხული. წელიწადი მხოლოდ ორ სეზონად — მშრალ სეზონად და წვიმების სეზონად იყოფა.



წვიმების სეზონში ქარები ზღვის მხრიდან უბერავენ და სინოტივე მოაქვთ. მშრალ სეზონში კი ქარები ზღვისკენ ქრიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წელიწადის დროები



## ზამთარი

წელიწადის ყველაზე ცივი დრო ზამთარია. დღეები მოკლდება. ადრე ბნელდება. ბევრ ქვეყანაში თოვლი მოდის და ყინვებს იჭერს.

მცენარეების ზრდა წყდება. ხეები ფოთლებისაგან იძარცვება. შიშველდება. ზოგ ცხოველს ხშირი ბეწვი ან მატყლი ეზრდება, რომ არ შესცივდეს.

ზოგ ცხოველს კი მთელი ზამთარი სძინავს. ადამიანები თბილ ტანისამოსს იცვამენ და უფრო მეტ დროს შენობებში ატარებენ.



## გაზაფხული

დღეები გრძელდება. დათბება. ხეებზე კვირტები იხკვნება. მიწიდან ბალახი ამოდის. იწყება მცენარეთა ზრდის განახლება.

თბილ ქვეყნებში გადაფრენილი ფრინველები ბრუნდებიან. ბუდეებს წნავენ და კვერცხებს დებენ.

ცხოველები მეწყვილეს ეძებენ და შთამომავლობას ამრავლებენ. თბილ ამინდში ადამიანები უფრო და უფრო ხშირად გამოდიან გარეთ. ცოხქვეშ.



## ზაფხული

ზაფხული წელიწადის ყველაზე თბილი დროა. დღეები გრძელდება. შუაღამემდე არ ბნელდება. ყველაფერი იზრდება.

იშლება ყვავილები. მწიფდება ხილი, ივსება თავთავი. ფრინველებსა და ცხოველებს ბევრი საკვები უჩნდებათ.

ადამიანები მეტწილად ჰაერზე არიან. მზეს ეფიცხებიან. ბევრნი დასასვენებლად მიდიან. ვთქვათ ზღვისპირას.



## შემოდგომა

დღეები მოკლდება. აცივდება. მცენარეები აღარ ყვავიან. იწყება ფოთოლცვენა.

შემოდის მრავალგვარი ხილი. ბუჩქები დახუნძლულია კენკრით.

იწყება სთველი – მოსავლის აღების ალო; შემდეგ ყანებს საშემოდგომოდ გადახნავენ.

ბევრი ცხოველი და ადამიანიც ზამთრის მარაგს იკეთებენ. ფრინველების უმრავლესობა თბილ ქვეყნებში მიფრინავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა






გრიგოლ აბაშიძე

# გიგი მქვია

გიგი მქვია, გიგი ვარ,
მე ქართველი ბიჭი ვარ.
უწინაპრო როდი ვარ,
შორი გზიდან მოვდივარ...
პაპის ფესვზე იმედად
ამოსული ყლორტი ვარ.
გიგი მქვია,
        გიგი ვარ,
ის ლამაზი წიგნი ვარ,
ფერად-ფერად ნიშნებად,
გამარჯვების ნიშნებად,
სამშობლოს გასახარად
ხვალ რომ გადაიშლება!
გიგი მქვია,
        გიგი ვარ,
იმ გმირებთან მივივალ,
ვინც ხვალ უნდა აშენოს
საქართველოს დიდება,
ვისი ცდითაც მამული
მზისებრ გამობრწყინდება!
გიგი მქვია,
        გიგი ვარ,
მე ნამდვილად იგი ვარ,
ხვალ ვინც, საქართველოსთვის
თუ იქნება საჭირო,
უყოყმანოდ, გმირულად
თავი უნდა გასწიროს.
გიგი მქვია,
        გიგი ვარ,
სიკეთეზე ფიქრი ვარ,
უწინაპრო როდი ვარ,
შორი გზიდან მოვდივარ...
პაპის ფესვზე იმედად
ამოსული ყლორტი ვარ!

# ედუარდ ამბოკაძე – 60

ეროვნული ბიბლიოთეკა



60 წელი შეუსრულდა ედუარდ ამბოკაძეს, მხატვარს, რომელზეც ჟურნალ „დილის" თანამშრომლებს თუ მკითხველებს შეუძლიათ თავისუფლად თქვან, – ეს ჩვენი მხატვარია.

ჩვენი მხატვარია ედუარდ ამბოკაძე მას შემდეგ, რაც 35 წლის წინათ პირველად შემოაღო „დილის" რედაქციის კარი და თავისი გულის კარი გაუღო ქართველ ბავშვებს – უკლებლივ ყველას, ყველა ასაკისას... მაგრამ „დილა" განუყოფლად იჩემებს მას, თუმცა ალბათ ასევე იჩემებენ ამ მხატვარს ჟურნალი „ნაკადული" (მას ადრე „პიონერი" ერქვა), გაზეთი „ნერგი" (ყოფილი „ნორჩი ლენინელი"), ანდა საბავშვო წიგნის გამომცემლობა თუ მულტიპლიკაციური ფილმების სტუდია, რომლებთანაც ასევე თავგანწირულად, ძალღონისა და გულის სითბოს დაუზოგავად იღვწის ედუარდ ამბოკაძე.

მივულოცოთ საიუბილეო თარიღი ჩვენი ბავშვების ერთგულ მეგობარს და მრავალი წლის სიცოცხლე და შემოქმედებითი ნაყოფიერება ვუსურვოთ. ხოლო „დილის" ამ გვერდზე ადგილი მივცეთ ედუარდ ამბოკაძის ნამუშევრებს.





ლიდა სტვილია

მხატვარი ედუარდ ამბოკაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ბაბუას სურვილი

ახლა კი ვარ პაწაწინა,
მაგრამ მალე გავიზრდები...
საქართველოს დასაცავად
ჯან-ღონით რომ ავივსები,
მაშინ მომე, ჩემო ბებო
ჩემი ბაბუს ფარ-ისრები!..

## მრადა-მრუდი კიბოლია



კიბოლია, რომ დადიხარ
ალმაცერად, მრადა-მრუდით...
იმიტომაც გზაზე ცხრაჯერ
გადმობრუნდი, გადაბრუნდი...
ხედავ? ღელისპირას მისვლა
კუმ დაგასწრო ბაკნიანმა...
ლოკოკინაც დაგეწია
სახლიანად, აკვნიანად...
შენ კი... შენ რა... კიბოლია?..
ფეხი გქონდეს ათიოდე
და ორფეხა კაცზე უფრო
სწრაფად ვეღარ დადიოდე?!



ამიერიდან „დილა" ყოველ ნომერში შემოგთავაზებთ ქართული ანბანის რიგით შეკრებილ სიტყვათა კონას. გვინდა, დაუკვირდეთ თქვენთვის ნაცნობ თუ უცნობ ქართულ სიტყვებს, შეადაროთ, გაითავისოთ, შეისისხლხორცოთ... მაგრამ ჟურნალის ერთ გვერდზე ჩვენ შევძლებთ მხოლოდ 10-15 სიტყვა მოგაწოდოთ. კარგი იქნება, თუ 3-5 სიტყვით თქვენც შეავსებთ ჩვენს მცირე ლექსიკონს... წარმოიდგინეთ, რა სასალისო იქნება თქვენთვის დიდ ლექსიკონში ანდა რაიმე მხატვრულ ნაწარმოებში ახალი სიტყვების აღმოჩენა, ჩაკვირვება და განმარტება. მონახეთ და ახსენით აქამდე თქვენთვის უცნობი ან გაუგებარი სიტყვები. ამას გარდა, იქნებ ჩვენი მოწოდებული თუ თქვენი მიკვლეული ზოგიერთი სიტყვის გამოყენებით შეთხზათ პატარა ამბავი ან გააკეთოთ მცირე ჩანახატი, და რედაქციაში გამოგვიგზავნოთ. წლის ბოლოსათვის შევარჩევთ საუკეთესო თხზულებას, ამომწურავად და გამგებიანად განმარტებულ სიტყვებს, და 1996 წლის ბოლო ორ ნომერში გამოვაქვეყნებთ. თქვენში მჯობნის მჯობნის მჯობნს კი რედაქციის პრიზს გადავცემთ.

# „ᲓᲘᲚᲘᲡ" ᲚᲔᲥᲡᲘᲙᲝᲜᲘ

## ა

ᲐᲑᲛᲐᲠᲐᲮᲘ – მაქრით (ვინდ თაფლით) მეზავებული სხვადასხვა სილეულის ან მწვანილეულის სასმელი (თურქები შარბათს ეძახდნენ).

დღეს რას ვუწოდებთ ასეთ სასმელს?

ᲐᲖᲛᲐ – იგივეა, რაც ქება ანდა საგალობელი. („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" ჰქვია თამარ მეფის ჟამთაღმწერლის – ბასილი ეზოსმოძღვრის წიგნს ჩვენს დიდ მეფე-ქალზე).

ᲐᲙᲐᲤᲚᲔᲑᲐ – როცა სახვის, ჭარხლის, ბოლოკის, ძირს ღერო ამოუდის, ამას „აკაფლება" ჰქვია. ჩვენ კი ახლა ვამბობთ – აყვავდათ.

ᲐᲙᲘᲜᲫᲘᲚᲔᲑᲐ – „ცულის საქმის დაქინება".

ᲐᲚᲕᲐᲮᲐᲖᲘ – დამელილი თაფლი. ალვახაზი საახალწლო ნუგბარი იყო გოზინაყთან ერთად (სხვათა შორის, ბავშვების საყვარელი პოეტი მაყვალა მრევლიშვილი ყოველ ახალ წელიწადს ამზადებდა).

ᲐᲚᲘᲝᲜᲘ – დილა უთენია. ალბათ გაგიგონიათ ცისკარიც, განთიადიც, რიჟრაჟიც, დაფიონიც... მაგრამ რა განსხვავებაა მათ შორის? იქნებ თქვენ თვითონ ამოიკითხოთ ეს ქართულ ლექსიკონებში და ჩვენც მოგვაწოდოთ ამ სიტყვების ზუსტი ახსნა.

ᲐᲜᲐᲑᲐᲠᲘ – იგივეა, რაც მიბარებული. ახლა ანაბარს ეძახიან შემნახველ სალაროში შეტანილ ფულს.

არსებობს ქართული ანდაზა: „ანაბარი მგელმაც შეინახაო". აბა თუ ახსნით, რას ნიშნავს ეს.

ᲐᲠᲛᲐᲦᲐᲜᲘ – უბრალოდ ძვირფასი საჩუქარი კი არ არის, არამედ შორით მოსულისაგან მორთმეული ძღვენია.

ᲐᲧᲐᲚᲝ – თიხა („ესე არს მიწა საპოთნი მსგავსი, მწიკვლითა გამრეცხელი").

ᲐᲨᲐᲘ – ლითონის ძაფი, მავთული (ეს უკანასკნელი თურქული სიტყვაა).

ᲐᲜᲡᲝᲠᲕᲐ – „ერთგულ წყობა რისამე".

ᲐᲡᲔᲬᲐ – „ქარისაგან აფხეკა".

ღმერთმა ინებოს, რომ ქარს გაჰყვეს, აისწონს ყველა თქვენი და ჩვენი გასაჭირი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზ ლანჩავა

# ყიყინათა ქალაქი



გუბეში, რომელიც დიდი ნიაღვრების შემდეგ გაჩნდა, ბაყაყებმა თავიანთი სამფლობელო შექმნეს. ამ სამფლობელოს ყიყინათა სახელმწიფო უწოდეს და ცისკენ აშვერილ ბალახზე საკუთარი ალამი ააფრიალეს.

ყოველ შებინდებისას, როცა მთვარე ყვითლად გამოანათებდა ცაზე, წყლიდან ამოჩრილ ლოდზე ერთი გომბეშო შესკუპდებოდა და მორთავდა ყიყინს: — ყია, ყუა, ყია, ყუა...

გომბეშოს ხმა ზარივით დაუვლიდა იქაურობას, ამ ხმაზე შეიკრიბებოდნენ დიდი და პატარა ბაყაყები, დანიშნულ ადგილზე წრეს შეკრავდნენ, დაკუსავდნენ თვალებს და მოსვენება აღარ ჰქონდათ იმ გომბეშო ბაყაყის ლაქლაქით.

ბაყაყებმა იფიქრეს, ეს გომბეშო ალბათ ყველაზე მცოდნეა, თორემ ამდენს როგორ იყიყინებსო და ქალაქის მმართველად გამოაცხადეს.

მაგრამ, დახეთ საოცრებას, დაწინაურებულმა გომბეშომ იმ დღიდან ხმა გაიკმინდა, გაიტრუნა, უფრო გაიბლინძა და გადასხვაფერდა. სამაგიეროდ მეორე, უფრო მომცრო ტანის გომბეშო მოჰყვა გაუთავებელ ყიყინს.

ახლაც რომ ვერ მოისვენეს, კიდევ ერთხელ შეიკრიბა იმ სახელმწიფოს ბაყაყთა საკრებულო და ქალაქის მმართველის მოადგილედ ეს მომცრო ტანის გომბეშო დანიშნეს.

აქა-იქ კიდევ გამოერივნენ ეშმაკი ბაყაყები, იგრძნეს უმრავლესობის უვიცობა და ეშმაკობა იხმარეს. იმ წყლიდან ამოჩრილ ლოდზე რიგრიგობით შესკუპდებოდნენ და მანამ ყიყინებდნენ, სანამ თანამდებობას არ ჩაიგდებდნენ ხელში.

ყიყინათა სამფლობელოში საბოლოოდ არ დარჩენილა არც ერთი ბაყაყი, გარდა ერთისა, რომ თავის მოადგილე არ ჰყოლოდა.

ჰოდა, სწორედ იმ ერთმა საჩივარი შეიტანა ქალაქის მმართველთან: მე ხტუნია ბუყბუყაძე, დაბადებული ყიყინათა ქალაქის დაარსების მესამე კვირის უშაბათო კვირაში, რით ვარ სხვაზე ნაკლები, რომ მოადგილე არ მყავსო.

გომბეშო გაიბერა, თვალები უარესად გადმოკარკლა და თავის მოადგილეს დაავალა: — ახალი მთვარის ამოსვლამდე გამორკვიეთ, ხტუნია ბუყბუყაძე რით არის სხვაზე ნაკლებიო.

მმართველის მოადგილემ თავის მოადგილეს დაავალა საქმის გარკვევა, იმ მოადგილემ — თავისას, იმან კიდევ — თავისას და როგორც იქნა გამოირკვა: — მაშინ, როცა ყიყინათა სახელმწიფო ის-ის იყო ფეხს იდგამდა და სხვებმა ყიყინით თავი გამოიჩინეს, ბუყბუყაძე დუმდა და ხმას არ იღებდაო.

ვაი თქვენს პატრონსო, — თქვა გაბრაზებულმა ხტუნიამ და განაწყენებულმა დატოვა იქაურობა.

გაბრაზდა მმართველი. მმართველი გაბრაზდაო? გაბრაზდნენ სხვებიც. დაიბარეს ხტუნია და უთხრეს, ტყავს გაგაძრობთ, თუ არ მოინანიებო!

ჯიუტი გამოდგა ხტუნია, — ბუზსაც ვერ ამიფრენთო.

აქედან გავასახლოთო, — იყვირა კოპებშეკრულმა მმართველმა. — გავასახლოთო, — ერთხმად დაემოწმნენ სხვები.

რაღა გზა ჰქონდა ხტუნიას, იმ საღამოსვე გულდაწყვეტილმა ჩამოუარა ქუჩებს, ნაცნობ ადგილებს თვალით დაემშვიდობა და დატოვა იქაურობა.

ასე ვუზამთ ყველას, ვინც ჩვენს წესებს არ დაემორჩილებაო! — ყვიროდა გომბეშო.

ხტუნია კი ამ დროს მიხტუნაობდა და სიმღერით გულის ჯავრს იქარვებდა.

იმ თვეში გვალვამ იმძლავრა. მზემ, რაც სიმხურვალე გააჩნდა, ყველა ერთად გადმოაფრქვია და ერთ დღეს გულშემზარავად იყვირა ქალაქის მეთვალყურემ:

მზე თავზე დაგვადგა, წყალი იკლებსო.

— ხტუნია რომ გავაგდეთ, ღმერთმა გვიწყინაო, — შეჰკადრათ ერთმა ღვთისმორწმუნე ბებერმა ბაყაყმა.

ასე იყო თუ ისე, მზე დღითიდღე მძლავრობდა, ისე ააორთქლა გუბე, ბაყაყებს წყალი ზურგს ველარ უფარავდა.

ერთ მთვარიან ღამეს ატყდა ზარების რეკვა, ქალაქის მმართველი დიდი ვაივაგლახით შეჩოჩდა წყლიდან კარგა მანძილზე აშვერილ ლოდზე და თვალცრემლიანმა გამოაცხადა: — სახელმწიფო უნდა დავტოვოთო.

გულდაწყვეტილმა ბაყაყებმა მიატოვეს თავიანთი სამფლობელო და დაადგნენ გზას.

კარგა მანძილი რომ გაიარეს და ერთ ტოტებგაფარჩხულ ხესთან შეისვენეს, ზემოდან ხმა ჩამოესმათ. აიხედეს, არავინ ჩანდა, ცოტა ხნის შემდეგ პატარა მწვანე ბაყაყი შუამდე ჩამოჰყვა ხეს და დაიყიყინა:

— ჩემთან ამობრძანდით, მეგობრებო! ზემოთ უფრო სიგრილეა.

ბაყაყებმა ხეზე სიარული არ იცოდნენ. ერთი-ორმა მაინც სცადა ასვლა. ის მილეული თუ ავიდა, ჩვენ რით ვართ ნაკლებიო, მაგრამ ამაოდ. მაშინ მმართველმა იკადრა და ასძახა: — მანდ როგორ გაჩნდითო?

— მე ვასაკას მეძახიან, — თქვა მწვანე ბაყაყმა, თეთრი გული გამოაჩინა და დაუმატა: — ხეებს მავნე მწერებისაგან ვიცავ.

— კი მაგრამ, მაგ სიმაღლეზე როგორ ადი? — გაიკვირვეს დანარჩენებმაც.

— თუ რაიმე სასარგებლო საქმეს აკეთებ, მაღლა ასვლას რა უნდა, — ჩამოსძახა ვასაკამ.

— კარგია მაღლა, ალბათ, — სინანულით ახედა მმართველის მოადგილემ.

— კარგია და მერე როგორ! აქედან ყველაზე უკეთ მოჩანს ცა. საღამოობით ვარსკვლავებს ვითვლი, მთვარეს შევცქერი, დღისით კი, მზემ რომ არ შემაწუხოს, ფოთლებში ან ხის ფუღუროში მძინავს, — ჩაახაპუნა ვასაკამ.

ერთი გომბეშო, რომელიც [illegible]მობას ჩემობდა, კინაღამ შურით გასკდა, — წავიდეთო, — უთხრა დანარჩენებს და წაბაჯბაჯდა.

— ძმაო, ვასაკა, ხიდან რომელიმე სახელმწიფო ხომ არ მოჩანს? — ჰკითხეს ვასაკას დაღლილმა ბაყაყებმა.

ვასაკამ მრგვალად დახვეულ ფოთოლში გაიხედა და ჩამოსძახა, პირდაპირ იარეთ, ჭოგრიტში რაღაც შევნიშნეო!

ბაყაყების ქარავანი გზას დაადგა.

იარეს ერთი დღე, ერთი კვირა, ორი დღე, ორი კვირა და ის იყო დაღლილებმა ცოტას წავიძინებთო, იფიქრეს, რომ წინამძღოლმა იყვირა: — გვეშველა! გვეშველა!

დაფაცურდნენ ყველანი, ვეება გუბის დანახვაზე სიხარულით გული კინაღამ შეუწუხდათ.

თურმე ნუ იკითხავთ და — ამ სახელმწიფოს თავის საოცარი, მკაცრი კანონები ჰქონოდა. მთელი სანაპირო იქაური, შეიარაღებული ბაყაყებით იყო დაცული.

ბევრი ეხვეწნენ იქაურ მესაზღვრეს, შეგვიშვით თქვენს სახელმწიფოში, უკაცრიელი ადგილი გექნებათ, იქ დაგვასახლეთ და მერე ჩვენ ვიცითო.

მაგრამ ბაყაყმა კვლავ იუარა და თქვა:

— ჩვენი სახელმწიფო ჩუმალათა სახელმწიფოა. ჩვენ გვყავს ბრძენი მეფე, ხტუნია ბუყბუყაძე, რომელიც თვითონვე ავირჩიეთ, როგორც უთქმელი და საქმის მოყვარული, მისგან გვაქვს ნაბრძანები ქალაქში უცხო არ გავაჭაჭანოთ, ერთს კი მოგიხერხებთ, ბარათი დაწერეთ და დესპანის ხელით უფროსს გადავცემთო.

დაფაცურდნენ ბაყაყები, მაგრამ გამოირკვა, რომ წერა-კითხვა არავინ არ იცოდა.

ხელი ჩაიქნიეს, ტყუილუბრალოდ ვწვალობთ, თუ ჩვენი ბედი ხტუნიამ უნდა გადაწყვიტოს, ეგ მაინც არ მიგვიღებსო, და შიმშილით სული რომ არ ამოსძრომოდათ, აქეთ-იქით გაიფანტნენ.

სწორედ ამ დღის შემდეგ არის, რომ წერა-კითხვის უცოდინარი გომბეშოები მაწანწალებივით ხმელეთზე დახტიან და ხან ვის შეაფარებენ თავს და ხან — რას.



მხატვარი ომარ ჩუბინიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



გიორგი წერეთელი

## ახალი წელი

წინ რომ ერთ წელს გადაგვწევს,
ტკბილად ვხვდებით ახალ წელს,
არ იყეფოთ ლეკვებო,
მშვიდობა დაგვეყვებოს!





ზოია ვაშაკიძე

## ზამთარი

თოვლის თეთრ სამოსელში
ხე დგას, როგორც ფერია,
ზამთარია, ზამთარი —
ფანტელები მღერიან.
თოვლის პაპა გვესტუმრა
ხალისით გულგამთბარი,

პატარებო, გამოდით,
ზამთარია, ზამთარი.
ზეცას მისწვდეს სიმღერა,
ჩვენი სიცილ-ხარხარი,
ერთად დავაგუგუნოთ:
ზამთარია, ზამთარი...



ელიკო ჩანტლაძე

## ბეღურა თოვლში

თოვდა. კორიანტელში
დახტუნავდა ბეღურა.
ფიფქის ქურქი ეცვა და
ქუდიც ფიფქის ეხურა!



მხატვარი გიორგი ჩაჩანიძე

КОНТРОЛЬНЫЕ
ЭКЗЕМПЛЯРЫ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ ივანიძე

# გველის პერანგი

მესხეთში, სოფელ აწყვიტაში ასეთი ამბავი მიამბეს:

ერთ ოჯახს დიდი უბედურება დაატყდათ თავს – ძუძუთა ბავშვი ორივე თვალით დაუბრმავდათ. ერთხელ ბავშვის მამამ დაინახა, რომ კერიის წინ გველი მოსრიალდა და ცეცხლს მიეფიცხა. კაცმა ჯოხი მოუქნია, მაგრამ გველი ადგილიდან არ დაიძრა, და იმანაც მისაკლავად ვერ გაიმეტა. მერე ხელი მოჰკიდა, მაგრამ გველი ხელიდან დაუსხლტა და პერანგივით შეატოვა ხელთ. თვითონ ბავშვის აკვანთან მისრიალდა, თავი სახლის პატრონისაკენ შეატრიალა და შეხედა, თითქოს რაღაცას ანიშნებსო. მერე კიდევ სამჯერ შეატრიალა თავი, ენა გამოყო, დაისისინა და ტახტის ქვეშ გაუჩინარდა.

ბავშვის მამამ გველის პერანგი სამჯერ მოკეცა, ბავშვს ჯერ ამოუსვა თვალებში, მერე კი ზედ დააფარა. ასე გაიმეორა სამ დღეს, მეოთხე დღეს კი ბავშვმა თვალები აახილა.

ამის შემდეგ ეს გველი ყოველ ორ-სამ დღეში გამოჩნდებოდა, კერიის ქვებზე დაეხვეოდა და ცეცხლს ეფიცხებოდა. სახლის პატრონი კი ჯამით რძეს დაუდგამდა თურმე.

მეორე წელს გველი აღარ გამოჩენილა, მაგრამ ერთხელ გაზაფხულზე სახლის პატრონმა დაინახა სახლის კედელთან მზეს მიფიცხებული. გველმა მის თვალწინ პერანგი გაიძრო და ბოსლის ხვრელში ჩასრიალდა. სახლის პატრონმა გველის პერანგი აიღო და ფარეხს გარშემო სამჯერ შემოატარა, მერე კი ბოსლის კარის ძელში შემალა. ერთ წელიწადში ცხვარ-ძროხამ დიდი ნამატი მისცა თურმე.

მესამე წელს იგივე გველი ისევ გამოჩნდა, საცით სახლის კარში შესრიალდა და პერანგი ისევ გაიძრო. (საცით სახლი საშემოდგომო-საგაზაფხულო პროდუქტების შესანახი ადგილია). სახლის პატრონმა გველის პერანგი საცით სახლის ძელში შეინახა. ამის შემდეგ ოჯახი ძალიან გამდიდრდათ.

აი ასეთ ამბებს ყვებიან აქაური მოხუცები. ეს კი იმას მოწმობს, რომ დღესაც ცოცხალია კერიის გველის კეთილი ძალის რწმენა.



მთავარი რედაქტორი ლოლო წივწივაძე

სარედაქციო საბჭო: ლევან გაგუხადია, ციცინო გამყრელიძე, გიორგი რონიშვილი, მაგდა კვაჭანტირაძე, შერმადინ ქალდანი, თენგიზ ჩალაური.

გამოდის 1904 წლიდან. ყდაზე ნახატი **ბესო ხიდაშელისა.**

ქაღალდის ზომა 60X90 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურც.2,5 შეკვეთის № 108
ფასი სახელშეკრულებო
დაიბეჭდა გამომცემლობა "სამშობლოს" სტამბაში
მისამართი: თბილისი, კოსტავას 14
ტელ: 93-41-30 93-10-32

Ip. 30/1

ინდექსი 76053

ეროვნული ბიბლიოთეკა



გააფერადეთ!

თეთრად ქათქათებს მინდორი,
ბიჭო, რას უზი კერასა?
გამოდი, გამომხივულდი,
რა სჯობს ამ თოვლის ცქერასა!